ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7770308

ნომერი: AR11123618

თარიღი : 30.12.2025

გაცემის თარიღი : 13.01.2026

გაცნობის თარიღი : 28.01.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მარიჯანის ქუჩა, N 8ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვაჟა წოწკოლაური პ/ნ 01001007253
- თბილისი ქერჩის ქ. N 1 ბ. 52

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს: სამსახურის მიერ № 7641216 ბრძანებით შეთანხმდა და გაიცა მშენებლობის ნებართვა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის მშენებლობისთვის, ამჟამად თქვენს მიერ მოთხოვნილია სარეკლამო აბრის მოწყობა კლინიკისთვის, რომლის ფუნქციაც არ იყო შეთანხმებული პროექტით გათვალისწინებული შესაბამისად სამსახური მოკლებულია თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.